სამგლოვიარო ნომერი.

კვირა, 25 ოქტომბერი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 24

სოლომონ ზურაბის ძე ზურგიელიძე (კვირტი).

ეკ. მარიამ რევაზის ასული ზურგიელიძისა, მარკოზ ზურაბის-ძე ზურგიელიძე, ვარდენ, რეზო, ქაიხოსრო, თამარა, ცუცა, მაკო და ლიზო ზურგიელიძენი; ივანე ხარაძე, როსტომ ცხვარაძე; თინათინა, ფეფო, მიშა, კუკუნია, ცუცუნია, ცუცუკია, ლეო და დავით კიბოშვილები; ზაზულია, ღულუ, მარიკა, წიპი, ჭუჭია, კუჭია, ვარდო, ელიჩკა, ლუბა და მაკარი ცხვარაძენი; ექვთიმე ფხუკიანიძე; ვალიკო, ბეჟან, სიდონია, მათე, ზოსიმე, ხვარამზე, ქატოშვილები; სიმონ, კოსტა, და ნინიჩკა ჩხიკვაძეები; თომა, კეკე, ტატო, ატატო, სოსო, ლევან, ზაზა და მიტუშა ქარიანიძენი; ლუტუნია, კეკელა, ლიდიჩკა, სონიჩკა, ანეტა, მარუსია, კეტუსია, თიკუნია, პაპუნა და იორამ ბლუტიევები; ჭიჭიკო და ბიჭიკო ზამბაურები; ბესო, ზაქარია, პარმენ, ვარდენ, ქსენია, ქეთინა, ტიტე, მარუშკა, ფრიდონ, ლუკა და ფეფო ხაზიშვილები—გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ უდროოთ გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორე ძმისა, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე უძვირფასესი მამისა, მეათე და მეთერთმეტე საყვარელი სიმამრისას; მეთორმეტე, მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეხუთმეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე, მეცხრამეტე, მეოცე, მეოცდაერთე, მეოცდაორე, მეოცდასამე, მეოცდაოთხე, მეოცდახუთე, მეოცდაექვსე, მეოცდაშვიდე, მეოცდარვე და მეოცდაცხრე მარად მოსაგონარი საყვარელი ბაბუის (ანუ პაპის), მეოცდაათე უსაყვარლესი ნათლიის; მეოცდათერთმეტე, თორმეტე, ცამეტე, თოთხმეტე, ხუთმეტე და თექვსმეტე მარად მოსაგონარის დედიდაშვილისას; მეოცდაჩვიდმეტე, თვრამეტე, ცხრამეტე და მეორმოცე უსაყვარლესისა და უძვირფასესის დედიდაშეილის რძლის ბიძისა; ორმოცდამეერთე, ორმოცდამეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მვშვიდე და მერვე ტკბილ მოსაგონარის ნათლია ჩვენის სიმამრისას; ხოლო დანარჩენები სულიერი მამისა და მარად ჟამს მოსაგონარის ბიძა ჩვენის მამიდის მაზლის

თავადის სოლომონ ზურაბის-ძე

ზურგიელიძისას

განსვენებული ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა დღიდან დაბადებისა მეოთხმოცდაშვიდე წლის მიწურულში.

პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვა მოხდება წმინდა დიდუბის ეკლესიაზე ქ. თფილისში.

მეხი გავარდა.

გასკდა ზეცა, იგრიალა მეხმა, წყდიადმა მოიცო არემო, დაბნელდა მზე, შეკრთა მთვარის მოელვარე სხივები, ტყემ ძაძა ჩაიცვა, ვარსკვლავებმა თვალები დახუჭეს, ხეობებში ბურუსი ჩამოწვა და აცრემლებულ მიდამოს ბანს ეუბნება. ქარიშხალი მრისხანებს და გაშეშებულ ტყეთა მწვერვალებს არხევს, მწუხარების ღრუბელთა გროვას ცის გუმბათზე სდგამს ვით ხელთუქმნელ ძეგლს ჩვენი ცხოვრების ამაოებისას. აღარ ისმის ფრინველთ ჟღურტული და გალობა სიხაროულისა, ყვავილთ სურნელება გაკმინდეს და სახეც დაეღმიჭათ. ანკარა მტკვრის ტალღები თითქო სულთათანას უგალობენ გაოგნებულ მიდამოებს და ცელქი რიონი თითქო ზარს ეუბნება თალხებში გახვეულ სოფელ სოკოთუბანს, იმ სოკოთუბანს, რომელმაც აღზარდა თავისი და მთელი სამშობლოს სიამაყე, ქართველი ერის დიდება და სახელი, ჩვენი თანამშრომელი სოლომონ ზურაბის-ძე ზურგიელიძე, მწერლობაში „კვირტის“ ფსევდონიმით ცნობილი.

თვით ბუმბერაზი დარაჯი ჩვენი მამულისა, თოვლ-ყინულით თავ-აყვავებული იალბუზიც ღრმად ჩაფიქრებულა, პიტალო შუბლზე თით მიბჯენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუსაზღვრელ მწუხარებას მისცემია, თვალთაგან ცივი ტანჯვის ანკარა ცრემლებსა ჰღვრის და ლამის გული გაიხეთქოს. ამაყი მყინვარიც ნიშნად მწუხარების თავზედ თოვლის ნაცარს იყრის და გულ ამომჯდარი ქვითინებს ჩვენი სამშობლოს ბედს უბედობისას.

სტირიან, რამეთუ უდროოდ წაიქცა მწვერვალი ქართული მწერლობისა, იალბუზი და მყინვარი ეროვნული სიტყვა-შეკაზმული ხელოვნებისა, სტირიან, რამეთუ ჩვენ აღარა გვყავს მზე პოეზიისა, მთვარე პროზისა და ვარსკვლავი იუმორისა თავ. სოლომონ ზურაბის-ძე ზურგიელიძე. სიკვდილმა მოგვტაცა ჯერედ გაუფურჩქვნელი ძალღონით აღსავსე, მთა იმედებისა საყვარელი „კვირტი".

გრძნობს ზეცა და გრძნობს დედა-მიწა, გრძნობს სულიერი და უსულო ბუნება, ვერა გრძნობს მხოლოდ ქართველი ერი, რომლისთვისაც დიდებული, შეუდარებელი შვილის დაკარგვა მაღლა დგას თვით გრძნობიარობაზედაც.

ჩვენ აღარა გვყავს დაუვიწყარი სოლომონ ზურგიელიძე!

ეს უტყუარი ფაქტია!

---

† სოლომონ ზურაბის-ძე თავ. ზურგიელიძე

(„კვირტი")

აღსრულდა გასაოცარის შორს მჭვრეტელობითა და წინასწარმეტყველური წინასწარ გრძნობით ნათქვამი ჩვენი სოლომონისა:

„კაცი რომელიც იბადების
იგივე კვდება ბოლოსა".

და აღარ გვყავს საუკეთესო ქართველი ს. ზ. ზურგიელიძე. სამწუხაროთ, ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს ვრცლად შევეხოთ მის საყურადღებო ბიოგრაფიას (ეს მომავლის საქმეა) და იძულებული ვართ მკითხველის ყურადღება უმთავრესთა შორის უმთავრესებზე შევაჩეროთ.

სოლომონი დაიბადა 1828 წლის 19 აგვისტოს, დილის ოთხ საათსა და 18 წუთზე. მართალია თავად ზურაბ ზურგიელიძეს, მამას სოლომონისას, საათი არა ჰქონია, მაგრამ დილით მამლის ყივილსა და შუადღით ვირის ყროყინზე ჟამთა მსვლელობას იგი, როგორც დაკვირვებული თავადი. უნაკლულოთ აღნიშნავდა ხოლმე.

ჯერ კიდე შვიდი წლისა არა ყოფილა ჩვენი სოლომონი, რომ წმინდა ნათლისღება მიიღო. ამ დროს იგი თითქმის გარკვეულად ამბობდა შემდეგ ქართულ სიტყვებს: დედა, ბაბა, მსია მინა, კაკა, აღუუ და სხ. დიდი რჩევისა და კამათის შემდეგ გადაწყდა: ეწოდებიათ მისთვის სახელად „სოლომონი", რაიც სავსებით გაამართლა მომავალში ჩვენმა მგოსანმა.

პირველ დაწყებითი განათლება პატარა (14 წლის) სოლომონმა სოკოთუბნის დიაკონთან, ბესო გუდაძესთან მიიღო და მალე 18—19 წლის ბავშვი გადაიყვანეს მახლობელ სასულიერო სასწავლებელში. აქ პატარა სოლომონმა გაატარა დაახლოვებით 9—10 წელიწადი და ბოლოს, რაკი ვერ შეეთვისა სკოლაში გამეფებულ სულის შემხუთველ წესრიგს, იძულებული გახდა სკოლისთვის თავი მიენებებია.

ზოგიერთების აზრით სწორედ აქედან იწყება საზოგადო მოღვაწეობა ჩვენი ძვირფასი „კვირტისა". მართალია მის სასკოლო რვეულში აღმოჩნდა პატრა ლექსი ვიღაც „ცუგრუმელასადმი" მინაწერი, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ეს არ ეკუთვნის იმ ხანას, ვინაიდან იმ ლექსში არაფერია ბატონ-ყმობის შესახებ ნათქვამი. ჩვენის აზრით, საზოგადო მოღვაწეობა სოლომონისა დაიწყო გაცილებით უფრო გვიან, სახელდობრ 1865 წლის მიწურულში, ე. ი. როცა ის შეიქნა 35 წლისა და ამგვარათ საკმარისად მომწიფდა აღნიშნული ასპარეზისათვის.

სწორეთ ამ წლებში მიითვისა მან სიმპატიური ფსევდონიმი „კვირტი", რომელიც მოწერილია მისი საუცხოვო ლექსის ქვეშ. მე არ შემიძლია აქ სავსებით არ მოვიყვანო ეს მარგალიტი სიტყვა კაზმული მწერლობისა.

აი ისიც!

თვალები.

როცა ვხედავ ქალებსა,
და ზედ შავ-შავ თვალებსა,
მოსვენება მეკარგვის
ვიწვი და ვიდაგები.
ნაპერწკლებს ყრის ჩანქერად
როგორც ტალღა მრისხანე
მე კი კვლავად შევყურებ
იმას გაგიჟებული.
იქ იმ თვალში მე ვხედავ
ჩემს მამულს და ქვეყანას
და რომ გრძნობა მომერიოს
ეს გაკვირვებს თქვენ განა?

„კვირტი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკული განხილვა ბ-ნი კვირტის ნაწარ-ოებთა ჩემს საგანს არ შეადგენს და თუ ეს ლექ-სი მოვიყვანე, მოვიყვანე მხოლოდ სანიმუშოდ.

აშკარაა ბატონ-ყმობის გაუქმებამ ჩვენს მწერალზე დიდი გავლენა მოახდინა და ტალჩოკი მისცა მასში ჩამარხული ნიჭის მსვლელობას. აღსა-ნიშნავია, რომ შთამომავლობით თავადი და კარგი ოჯახის შვილიც, ხალხში ჩადგა და ერის გასაჭირი თავის დევიზად გაიხადა. ამას ერთის მხრით ხელი შეუწყო სოლომონის სახელმწიფო სამსახურში შე-სვლამ.

მსახურობდა იგი საგუბერნიო სასამართლოში, სადაც ხშირად უხდებოდა გლეხებთან საქმის წარ-მოება. ვინ არ იცის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „კანცელიარიის ვირთხა“! ჩვენი ეროვნების სასი-ქადულოთ სოლომონი შორს იყო ამ სათაკილო სახელწოდებისაგან და თუ სადმე დაუდევრობით რასმე დააშავებდა, იმის დამალვასაც კი მოახერ-ხებდა.

სწორედ ამ ხანებში გამოჩნდენ ჩვენში ახალ-გაზრდა მწერალნი: აკაკი, ილია, გ. წერეთელი, ს. მესხი, ნიკოლაძე და სხვანი, რომელნიც ხშირ-ხშირად იკრიბებოდენ სოლომონ ზურგიელიძის ოჯახში, არა მარტო იმიტომ, რომ დიასახლისმა კარგი სადილები იცოდა, არამედ იმიტომაც, რომ მოესმინათ გონიერი მუსაიფი და აზრები უკვე დამ-სახურებული მწერლისა. ყველაზე დიდი გავლენა სოლომონის პოეზიამ ნ. ნიკოლაძეზე მოახდინა.

ჩვენს დაუვიწყარ მგოსანს თავისი კალამი თი-თქმის უკანასკნელ დღეებამდე არ გაუგდია ხელი-დან. ამ ბოლო დროს ექიმების რჩევით დაანება თავი ლექსთა თხზვას, რამაც უეჭველია გავლენა იქონია მის სულიერ სიმშვიდეზე.

ნეტარ ხსენებულის ლექსთა შორის პირველი ადგილი მისს „თვალებს“ უჭირავს. ამ ლექსს უკვე ამღერებენ გიტარაზე სოფლელი ქალიშვილები. გარდა ამისა მშვენიერია ლექსები: „ატამი“ (დაუ-მთავრებელი), „სიზმარი“ (დაუმთავრებელი) „ბა-ტები“. ყვავო, ყვავო ყვანჩალაო“ (იუმორისტული. დაუმთავრებელია).

მაგრამ თქვენ არ უნდა იფიქროთ, თითქო ბ-ნი სოლომონი ᲛᲮᲝᲚᲝᲓ სამწერლო დარგში ყო-ფილიყოს შესანიშნავი. არა; ის შესანიშნავი იყო, როგორც მსახიობი (სცენის მოყვარე) როგორც მჭევრ-მეტყველი ლექტორი; როგორც საუკეთესო მცოდნე ქართული ენისა, ისტორიისა და აგრეთვე ქართული საეკლესიო გალობისა. ყველა ზემოალნიშ-ნულ დარგში შეიტანა მან თავისი წვლილი, ყველგან დაიმსახურა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, მაგრამ განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია მისი ისტორიული გამოკვლევა „სოფ. სოკოთუბანი“, სამწუხაროთ დაუმთავრებელი.

1905 წლის შემდეგ სოლომონმა სცადა დრამე-ბის წერაც, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაამთავრა დროს ᲦᲥᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡ გამო. მხოლოთ **„ᲙᲣᲠᲓᲦᲚᲘᲡ ᲤᲔᲮᲘ“**. დრამა სამ მოქმედებათ უკვე დაემთავრებია, მას მაგრამ სამტრედიაში მოგზაურობის დროს სად-გურთან ჩამოდანი მოჰპარეს და დაიკარგა.

ოჯახური ვითარება სოლომონისა მდიდარია მრავალი საყურადღებო შემთხვევებით, მაგრამ რო-გორც აღვნიშნეთ უადგილობის გამო არ შეგვიძ-ლია ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲐᲓ გავაშუქოთ ყოველი მხარე მისი.

38 წლისამ შეირთო მან თავადი რევაზ დერ-გაძის ქალი მარიამი. როგორც ირკვევა სოლომო-ნის ლექსი „თვალები“ მარიამის ᲔᲨᲮᲘᲗ იყო გამო-წვეული. მარიამი სასახელო დიასახლისი, ქმრისა და ოჯახის ერთგული გამოდგა. განსაკუთრებით ხელს უწყობდა იგი ქმრის მგოსნურ მᲦᲨᲐᲝᲑᲐᲡ და სცენაზედაც მისი თანხმობით გამოდიოდა ჩვენი სოლომონი.

მალე ოჯახი გაიზარდა. სოლომონს შეეძინა სამი ვაჟი და ოთხი ქალი. ვაჟებმა უკვე მიიღეს საკმაო სწავლა განვითარება, რომ მამის დაწყებუ-ლი საქმე განაგრძონ. ვარდენი და რეზო სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სწავლობდენ. მეოთხე კლა-სამდე გაუძლეს როგორც იქმნა აუტანელ რეჟიმს და მერმე თავი დაანებეს. უმცროსი ქაიხოსრო სე-მინარიისთვის ემზადებოდა, მაგრამ ბოლოს თავი დაანება და სოფლის მეურნეობა ირჩია.

სოლომონის ქალებში მარტო ერთმა, თამა-რამ ისურვა გათხოვება, დანარჩენი სამი: ცუცა, მაკა და ლიზიკო მამასთან დარჩენ ოჯახში დღე-ვანდლამდე. მიუხედავათ იმისა, რომ ადგილ მამუ-ლი უხვად ჰქონდა და პენსიაც საკმაო, სოლომო-ნი უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა. გარდაი-ცვალა იგი მოულოდნელათ. ᲯᲔᲠ კიდევ ძალ-ღონ-ით აღსავსე დაბადებითგან 87 წლისა.

ქართველი საზოგადოების ვალია იზრუნოს დიდებული ქართველის ოჯახის კეთილ დღეობის უზრუნველსაყოფად.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი დიდებულო ᲗᲐ-ᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ.

წმინდა ნათლისღება სოლომონ ზურგიელიძისა.

სოლომონ ზურგიელიძის (კვირტის) ხსოვნას.

და ვფიცავ, ვფიცავ წმინდა სახელს, სახელს
უფლისას,
ვფიცავ ჩემს სატრფოს, ქუსლის ლურსმანს მისის
ტუფლისას,
ვფიცავ ჩემს მუზას, გენიოსურ მისსა თამაშსა,
ჩემი მიჯნურის ოქროს ფეხსა, ფეხზე გამაშსა,
ზღაპარს ჰამაკში, ნეტარ წუთებს მის მოგონების,
კოცნათა კოცონს და ჩაკოცნილ ტუჩთ გოგონების,
რომ ჩემი სული, ააჯანყა სიკვდილმა შენმა,
და შემაზღუდა გული ზღუდემ, ლოდით ნაშენმა!..

*

ოჰ, სოლომონჯან! აწ ჩემს მუზას გარს აკრავს
ნისლი,
რადგან შენ მუზის მოძმე იყო, თვისტომი, ქვისლი...
ჩაშავდა გული, გაიმურა ვით არაბია,
და ჩემს ვარდის ბუჩქს, ვაჰ, კოკორი აღარ აბია!..
დილით ავდექი დათალხული და მგლოვიარე
და ჩემი სატრფო გოგონები შემოვიარე,
მაგრამ, სოლომონ, ჩემი ურვა ჯოჯოხეთს უდრის,
ვერ გააქარვა სურნელებამ იმათი ბუდრის!..

ი. გრიშაშვილი.

ქ რ ო ნ ი კ ა.

დამკრძალავი კომიტეტი.

საბედისწერო დეპეშა ს. ზ. ზურგიელიძის გარდაცვალების შესახებ იმდენათ მოულოდნელი იყო, რომ "ნაციონალურ დამკრძალავ კომიტეტის" წევრნი in corpore შეეკითხენ სოკოთუბნის სამრევლო სკოლის მასწავლებელს: **„გამოურკვეველ მდგომარეობაში მყოფნი, გულის ფანცქალით გეკითხებით, მართლა დაილუპა საქართველო თუ არა?"**

ამ დეპეშის საპასუხოდ მოვიდა მოკლე, მაგრამ მრავალ მეტყველი ცნობა: **„დაილუპა"**.

ამ ცნობის მიღებისათანავე შესდგა საგანგებო კრება „ნაციონალურ დამკრძალავ საზოგადოებისა".

ანდერძი.

ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ განსვენებულ მგოსანს თავისი ნაწერები (დაუმთავრებელი) უანდერძებია „ქართველ კულტურის მოყვარე საზოგადოებისათვის"; არყის ხისაგან გამოჩუქურთმებულ სოლომონის საყვარელ „პორტსიგარში" აღმოჩნდა შემდეგი, გულის ამაჩუყებელი ბარათი: **„ეანდერძოს „განათლების" სკოლას. პატარა ქართველო! შეიყვარე სამშობლო შენი, ვითარცა მე მიყვარდა „ოორტსიგარი" ესე".**

უკანასკნელი წუთები.

სოფ. სოკოთუბანში ლექციის წასაკითხავად მისული ბ-ნი ს. ფირცხალავა, შემთხვევითი მოწამე გახდა სოლომონის აღსრულებისა. როდესაც ბ-ნი სამსონი გამოეთხოვა, სულთმობრძავმა სოლომონმა თითქმის გარკვეულათ წარმოსთქვა:— **მშვიდობით, საყვარელო სამ...** და სამუდამოთ დახუჭა თვალები. მას აღარ დასცალდა უკანასკნელათ სრულად წარმოეთქვა მისი სათაყვანებელი სიტყვა „სამშობლო".

დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალური ბიურო.

„ნაციონალურ დამკრძალავ საზოგადოების" პირველმა კრებამ ერთხმად დაადგინა: ჩვენი მხცოვანი მოღვაწის დაკრძალვას მიეცეს ფართო ნაციონალური ხასიათი. ამ მიზნის მისაღწევათ განიზრახა ყოველ უბანში ცალკე „დამკრძალავ კომისიის" დაარსება და მათ წარმომადგენელთაგან „ცენტრალური ბიუროს" შედგენა.

მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ვიდრე „ნაციონალურ დამკრძალავი საზოგადოების" კრება ამ საკითხს სწყვეტდა, სხდომის დარბაზს უკვე მიადგენ „საუბნო დამკრძალავ კომიტეტთა" წარმომადგენელნი. ამგვარათ, ხალხის სტიქიური სურვილისამებრ **„დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალური ბიურო"**. უკვე შესდგა.

ბიუროში შედიან: ბ-ნი იასე რაჭველი (ვერა). სევასტი გაჩეჩილაძე. (საბურთალო და ახალშენი), მამედ-ეფენდი-ალი-ოღლი-გუსეინ-ზადე (ხარფუხი), შ. შარაშიძე (ავლაბარი), დ. კასრაძე (ჩუღურეთი), ნ. კალანდაძე (კუკია), ფ. მგელაძე (დიდუბე).

როგორც მოსალოდნელი იყო, სოლოლაკნაძალადევმა ახლაც ბლოკი შეჰკრეს და **„დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალურ ბიუროში" თავისი წარმომადგენლები არ გამოგზავნეს.**

საინტერესო პროცესი.

როგორც გაგიგეთ, სოლომონის ჯერ დაუმთავრებელი მონოგრაფია ქართული საეკლესიო გალობის შესახებ—**„სამ-ხმოვანი, თუ ოთხ-ხმოვანი?"**— მგოსნის ნება დაურთველად გამოუცია ბ-ნ სოსიკო მერკვილაძეს.

ამის გამო, ანდერძით მემკვიდრე „ქართული კულტურის მოყვარული საზოგადოების" გამგეობა გამოძიებას შეუდგა და ახლო მომავალში საინტერესო პროცესის მოწამენი გავხდებით.

ძეგლის პროექტი.

„სახალხო ფურცლის" რედაქციამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის დარაჯათ უდგას ეროვნულ ინტერესებს. „დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალურ ბიუროს" სხდომაზე აღნიშნული რედაქციის წარმომადგენელმა ი. გოგოლაშვილმა გააცნო ამხანაგებს დაუვიწყარი მგოსნის ძეგლის პროექტი. ქანდაკებას გოსნისას გამოჰკვეთს მარმალილოსაგან ბ-ნი ი. ნიკოლაძე, ხოლო კვარცხლბეკს დასდგამს ინჟ. ბ. მამრაძე.

ბ-ნი ი. ნიკოლაძე, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ომის გათავებისათანავე გაემგზავრება საზღვარ გარეთ, ლიუქსენბურგის მუზეუმში განსვენებული მგოსნის მოხაზულობის შესასწავლათ.

სოლომონის ფონდი.

„ქართული დრამატიული საზოგადოების" გამგეობამ დაადგინა: გადაეცეს „დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალურ ბიუროს" მიმდინარე სეზონის წმინდა შემოსავალი განსვენებული დრამატურგის სოლომონ ზურგიელიძის ფონდის ძირითად თანხისათვის.

ამავე მიზნისთვის შემოვიდა: 1) ლენა ტიკინაძისაგან (3 წლისაა) 1 მან. და 50 კაპ. (ვერცხლის უხალთუნები) 2) ილო და ლუბა ჩილიკაძეთაგან (პირველი 5 წლისაა, მეორე 2½ წლისა) სულ 1 მან. 25 კ. 3) იოსებ იმედაშვილისაგან (47 წლ. და 17 დღისაა) 5 მანეთი („თეატრი და ცხოვრეზის" ერთი ნომრის წლიური ფასი). 4) ახმედ-ჯეგირ-ოღლისაგან (8 წლისაა) 75 კაპ.

„სოლომონის საღამო".

„დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალურმა ბიუროს" დაადგინა: განსვენებულის აღსრულების მეორმოცე დღეს გაიმართოს ქართულ კლუბის დარბაზში „სოლომონის სამგლოვიარო საღამო."

პროგრამა დაახლოვებით შემდეგია: **1 განყოფილება.** 1) სამგლოვიარო ჰიმნი სოლომონის ქანდაკების წინაშე (კავსაძის ხრო შეასრულებს „ცანგალა და გოგონას“) 2(გრ. რობაქიძე (თუ ავათმყოფობამ ხელი არ შეუშალა) წარმოსთქვამს სიტყვას: „ქალ-ვაჟური დასაწყისი ს. ზ. ზურგიელიძის თხზულებებში“. 3) ექ. ივ. გომართელი წაიკითხავს ლექციას „მეუღლე სოლომონისა, ნინა და საკულინარო ხელოვნება. **2 განიოფილება.** 1) ბ. ვ. ბურჯანაძე განსვენებული მგოსნის გრომში წაიკითხავს სოლომონის უკვდავ ლექსებს. 2) კავსაძის ხრო შეასრულებს ამ დღისთვის საგანგებოთ შეთხზულ საგალობელს „ნეტავი, გოგოვ, მე და შენ“ 3) ნაფიცი ვექილი იოსებ მაჭავარიანი წარმოხთქვამს სიტყვას „სოლომონ ზურგიელიძის გავლენა ვახტანგ VI-ის კანონდებულებაზე“. **3 განგოფილება.** 1) „ნაკადულის რედაქციის სახელით არჩილ ჯაჯანაშვილი (6 წლისა) წაიკითხავს ლექსს: „პატარა ვარ, გავიზრდები“. 2) კავსაძის ხრო იგალობებს განსვენებული სოლომონის მიერ ნოტებზე გადაღებულ სვანურ ჰანგს „ხასან-ბეგურას“. 3) დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარე ბ. ვ. ჟურული წარმოსთქვამს სიტყვას: „სანოვაგეთა, თუ მოღვაწეთა დაძვირება?“. **4 განყოფილება.** აპოთეოზი. სცენაზე მოსჩანს ქარიშხალისაგან გადამტვრეული უზარმაზარი მუხა (ემბლემა საქართველოსი), რომელსაც ყვავ-ყორანნი დასჩხავიან თავს და ჰკორტნიან. მუხის კუნძს (ემბლემას შეურყეველ ეროვნულ საფუძვლისას) იდუმალი მდუმარებით დაყრდნობია სოლომონ ზურგიელიძე. სოლომონსა და მუხის კუნძს გარს არტყია ქართველ ახალგაზრდა მგოსანთა პლეადა, ნორჩი ყლორტები შეურყეველი საფუძველისა. ეს სურათი, ჯერ ბინდ-გადაკრული, თან და თან ნათელიმოსება ამომავალი მზის სხივების მიერ. ამომავალ მნათობის ელვარე სხივებთან ერთად ამ დიდებულ სანახაობას ეფინება ამომჯადოებელი ღვთიური ჰანგები კავსაძის ხროსი, რომელიც ჩვეულებრივის სიანაზით უგალობს მგოსანს: „მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა“.

ბიუროომ ამასთანავე დაადგინა, ამგვარივე „სოლომონის საღამოები“ გაიმართოს ყოველ წლივ, 17 ოქტომბერს.

დაკრძალვის კრებული.

დამკრძალავ კომიტეტთა ცენტრალურმა ბიუროომ აირჩია სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალა ცალკე წიგნათ გამოცემა ყველა იმისი, რაც სოლომონის გარდაცვალების გამო ითქვა და დაიწერა. ეს კრებული, თუ საჭირო მასალების შეგროვება და დაბეჭდვა მოესწრო, უნდა მზათ იყოს განსვენებულის გარდაცვალების შემდეგ 25 წლის იუბილეისათვის, ე. ი. 1940 წელს.

ახალი უბედურების აჩრდილი და საჭირო თადარიგი.

დ. კ. ც. ბიუროს უკანასკნელ კრებაზე წაკითხულ იქმნა შემაძრწუნებელი შინაარსის დეპეშა ქალაქ ოზურგეთიდან: **„ღრმა მწუხარებით გაუწყებთ, რომ გუშინ, საღამოს 6 საათზე, მოულოდნელათ მძიმე ავათ გახდა ჩვენი მამულის სიამაყე გუსარ ჟუჟისპირელი. მდგომარეობა საშიშია. ალექსი ჭალელი.**

ბიუროომ დაუყოვნებლივ გადასწყვიტა განაგრძოს არსებობა ვიდრე ეს ვერაგი მტერი, ქართველი ერისა, სიკვდილი, არ დასტოვებს ჩვენს მრავალ-ტანჯულს სამშობლოს.

На смерть С. З. Зургіелидзе—Квирти.

Угасли звѣзды... И нѣкто въ черномъ,
Приникши ликомъ къ тьмѣ небесной,
Въ эфирѣ сумрачномъ, минорномъ
Простеръ кровавую десницу...
И страшной Смерти колесницу
Съ контуромъ сѣрымъ и неяснымъ
Промчалъ съ нѣмымъ грохотомъ...
И Эхо адское съ хохотомъ отвѣчало:
—Алло!..

И вздоргнули тогда устои Небосклона,
И онъ, весь черный, плащъ свой черный
Спустилъ, злой Моирѣ покорный,
Къ изголовью Соломона...
И пастыря могучій, свѣтлый духъ
Простился съ бренными останкмми,
И вылетѣлъ, какъ легкій птичій пухъ,
И въ высь поднялся съ „свѣтлянками“...
И вотъ закрылись методично
Сперва одно, затѣмъ другое окно...
Не выдержалъ поэтъ и вскрикнулъ мелодично:
—„Варъ! ма ва моко! *)!

С. Абашели.

---

*) „ვარ! მა ვა მოკო“—მეგრული სიტყვებია და ნიშნავს: არა! მე არ მინდა! როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს ძლიერი პროტესტი უსამართლო სიკვდილის წინააღმდეგ, პოეტს სამშობლო ენაზე აღმოხდა.

სოლომონ ზურგიელიძე
სკოლაში შესვლის დროს.

სოლომონ ზურგიელიძე
სასწავლებლიდან გამოგდების დროს, როცა მან დასწერა პირველი ლექსი „თვალები“.

დაკრძალვის ცერემონიალი.

გუშინდელ სხდომაზე დ. კ. ც. ბიურომ საბოლოოთ შეიმუშავა სოლომონის დაკრძალვის წესრიგი:

1—ქაშვეთის ეკლესიაში მის გალავანში და ახლო-მახლო ქუჩებში უბილეთოდ არავის დაუშვებენ. ბილეთები იყიდება ქ. შ. წ. კ. გ. კანტორაში. (გრ. ბურჭულაძესთან) „სახალხო ფურცელის“ რედაქციაში, ხილეულობის მაღაზია „კარტალინიაში“ რ. გაბაშვილთან და სათავად-აზნიურო გიმნაზიაში ა. ჭიჭინაძესთან. ბილეთების ფასი: ა) ქაშვეთის ეკლესიაში 1—8 წყებამდე 3 მანეთი. 9—ბოლომდე 1 მან. 50 კაპ. ბ) გალავანში 1 მანეთი და გ) ქუჩებში 50 კაპ.

2—წირვა დაიწყება დილის 4 საათზე და გათავდება საღამოს 4 საათზე. მწირველნი იქნებიან ქართველი მღვდელმთავრები, მუსულმანთა შეიხულ ისლამი და ებრაელთა რაბინი.

3—წირვის გათავების შემდეგ ცხედარს ეკლესიიდან ბალდახინამდე გამოასვენებენ მგოსნები; ბალდახინში ცხენების ადგილს დაიჭერენ ჩვენი ცნობილნი მოღვაწენი: გ. დიასამიძე და ალ. ყანჩელი; ილ. ზურაბიშვილი და სიმონ ყიფიანი; კოწია თუმანიშვილი და ფეზურ-ოღლი-დემირ-ზადე; ფილ. გოგიჩაიშვილი და პართ. გოთუა; ერ. გორდელაძე და მიხა გაჩეჩილაძე. პროცესიას წინ, კელაპტრით ხელში გაუძღვება „სინათლის“ ავტორი იოსებ გედევანიშვილი.

4—პროცესია დაიძრება საღამოს ოთხ საათზე ლორის მელიქიშვილის ქუჩით, გაივლის ერევნის მოედანს, სომხის ბაზარს, სიონის ტაძარს და გავა ხარფუხში, საიდანაც ბოტანიკური ბალით აივლის კოჯორის გზაზე სოფ. ოქროყანამდე. აქედან მოუხვევს და ჩამოვა სოლოლაკით კვლავ ერევნის მოედანზე. შემდეგ გაივლის სასახლის, გოლოვინის, წყნეთის ქუჩებს და მიადგება სათავად-აზნაურო გიმნაზიას. აქედან კვლავ უკან ბრუნდება და ვერის დალმართით გამოვა მიხაილის პროსპექტზე და გაემართება პირდაპირ დიდუბისაკენ.

გზაში პროცესია შეჩერდება: სათ.-აზნაურო ბანკის ახალ შენობასთან, (სიტყვას წარმოსთქვამს

ილ. ზურაბიშვილი.) ძეგველოვის მაღაზიასთან (სიტ. წარ. პარ. გოთუა) ერევნის მოედანზე (ეროვნებათა წარმომადგენელნი) სიონის სობოროსთან (ანტ. ეპისკოპოზი) აბანოებთან (გიორ. ამირეჯიბი) ბოტანიკურ ბაღში (ნ. კალანდაძე) სოფ. ოქროყანაში (ვარდენ ზურგიელიძე.) წერაკითხვის საზ. წინ (ვარ. ბურჯანაძე) ლაღიძის ქარხნის წინ (მიხ. ლაღიძე) ძმურ ნუგეშთან (განდეგილი) „ალექსანდროულთან“ (გიგო დიასამიძე) სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან (გერონტი ქიქოძე) „ნოეს“ სასტუმროსთან (აპ. წულაძე) „ეშმაკის მათხრახის“ რედაქციასთან (ეშმაკი) ხოლო დიდუბის ეკლესიის გალავანში ილაპარაკებენ ყველანი ერთად.

სოლომონ ზურგიელიძის დაკრძალვა: დიდებული სანახაობა.

მოგონებანი

განსვენებულის ს. ზ. ზურგიელიძის შესახებ.

I

ჯერ კიდევ მსოფლიო ომი გამოცხადებული არ იყო, რომ შევხვდი განსვენებულ მოღვაწეს ქალაქის ბაღში და მასთან გაცნობის შემდეგ სახლში სადილათ მივიწვიე. სოლომონმა გაიპატიჟა და სთქვა:

— მე კარგა ხანია გიცნობდით თქვენ, როგორც ნიჭიერ მგოსანსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს, მაგრამ გაცნობისათანავე სტუმრობა, ეს ურცხვობა იქნებოდა ჩემის მხრით.

მე, როგორც სტუმრის მოყვარულმა ქართველმა, რასაკვირველია დავითანხმე მოღვაწე ქართველი შინ წამყოლოდა. სოლომონი განცვიფრებაში მოიყვანა ჩემს ოჯახში ნახულმა. მეტადრე მოხიბლა ოჯახის დიასახლისმა და ბავშვების გონება გახსნილობამ.

— ასეთი ოჯახის მამა, ჭეშმარიტად ღირსია ქებისა და დიდებისაო, შენიშნა სოლომონმა.

მე გადავეკი წასაკითხათ მას ჩემი ახლად დამთავრებული ხელთნაწერი „ზუთხი“, ლაქსად დაწერილი პოემა. სოლომონი პირველმავე ტაეპმა უზომო აღტაცებაში მოიყვანა და სახე განათებულმა შესძახა:

— აი ჭეშმარიტი ნიჭი! შემცდარნი არიან ვინაც ჩვენში მწერლობის დაკნინებაზე ლაპარაკობს. მე რომ თქვენი მეასედი ნიჭი მომცა, მსოფლიო გენიოსის სახელს მოვიხვეჭდი და თვით შოთა რუსთაველსაც კი ჩავჩრდილავდი.

დიასახლისის მიერ მორთმეულმა სადილმა,

ხომ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. მგოსანმა აღარ იცოდა რომლისგან დაეწყო. მშვენიერს სასადილო ოთახში პირდაპირ გრძნობის მომჯადოებელი არამატი დაგუბდა.

— ჩემს ხანგრძლივ ცხოვრებაში ბევრგან დავსწრებივარ ნადიმს, მაგრამ ასეთის ხელოვნებით შეზავებული სუფრა ჯერ არსად მინახავს. მე აღარ ვიცი როგორ გადავიხადო თქვენი პატივისცემა. თუ რაიმე გარემოებამ ხელი არ შემიშალა ვეცდები ჩემს ოჯახში შევხვდეთ ერთმანეთს, თუმცა ახლავე გაფრთხილებთ, რომ ასეთ უხვსა და მშვენიერ დახვედრას ვერ შევსძლებ.

სამწუხაროდ ჯერ მსოფლიო ომმა და შემდეგ ულმობელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა მგოსანს, თავისი დაპირება სისრულეში მოეყვანა.

აზნ. მიხელ გარდენის-ძე დომჯანიშვილი.

II

პირველად სოლომონთან შეხვედრა 1908 ოქტომბერს მომიხდა „რკინის თეატრში“. ის გამაცნო ნ. ე--ვამ. მე მაშინ მესამედ გამოვდიოდი სცენაზე არსენას როლში და თითქმის არავისგან არ მომესმინა აზრი ჩემი თამაშის შესახებ.

— თქვენ, ბ-ნო ლევან, დღეს ჭეშმარიტი სიამოვნების წამები გამაცდევინეთ. არსენა, ეგ ჩვენი ცხოვრების გმირია და როცა თქვენს თამაშს ვუყურებდი, მე თითქმის სრულს თავდავიწყებას ვეძლეოდი. მე საზოგადოთ არავისი ქება არ მიყვარს, მაგრამ თქვენი ღვთაებრივი ნიჭის სიძლიერე მაიძულებს ამ შემთხვევაში ჩემს ჩვეულებას ვუღალატო. თქვენ უეჭველად დიდი მომავალი მოგელისთ და მე მეშინიან მხოლოდ იმისი: ვაი თუ თქვენი ნიჭის ზრდა ქართული თეატრის ქერქში ვეღარ მოთავსდეს და სამშობლო მხარე მიატოვოთ.

კარგათ აღარ მახსოვს, თუ ვინ უგდებდა ყურს ამ ჩვენს მუსაიფს, მაგრამ ეს სიტყვები, როგორც ცეცხლით ამონაკვეთი, ისე დააჩნდა ჩემს გულს. მე გაუბედავათ ვთხოვე ეცა პატივი და სპექტაკლის შემდეგ ჩემთან ერთად ერთი ჭიქა ღვინო დაელია, რაზედაც სოლომონმა მიპასუხა:

— პირიქით, ჩემთვის უფრო იქნება სასახელო თქვენთან საღამოს გატარება და სიამოვნებით ვეთანხმები თქვენს სურვილსო.

ვახშამზე თამადობა სოლომონმა იკისრა და პირველი ჭიქით ხელში წარმოსთქვა:

— ბატონებო! მე ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარგუნა დღეს იმ წრეში თამადობა, სადაც ზის ჩვენი სცენის შუქურ ვარსკვლავი, რომელიც ამ პატარა ხნის წინეთ ამოკაშკაშებულა აქ, ზღვის პირის ჰორიზონტზე და რომელსაც ჯერ ჯერობით ვერ ამჩნევს შუაგულ ქართველთა თვალი. მაგრამ ვარსკვლავი ზევით, ამოცურდება, ზღვის ბურუსიდან ცის ლაჟვარდზე გადავა და იქ აენთება როგორც მზე ქართული ხელოვნებისა. მე ვსვამ ჩვენი ძვირფასი მასპინძლის, ახალგაზრდა სცენის მოყვარის და ნიჭით აღსავსე მსახიობის ლევან სიმონის ძე გორელის სადღეგრძელოს.

უნდა გამოვტყდე, რომ ამ სიტყვამ ძლიერ აღაფრთოვანა ჩემი მგრძნობიარობა. მარტომ დავიწყე „მრავალ ჟამიერი“ და ამ გარემოებამ ახალი ქება გამოიწვია ჩემი სოლომონის მხრით. მან „ექსტრა“ მოითხოვა და სთქვა:

— ბატონებო! ბოდიშს ვიხდი რომ გაწუხებთ, მაგრამ ეს არ მომდის კერძო პირადის ანგარიშებით. თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ სიმდიდრე ქართული საერო და საეკლესიო ჰანგებისა. მაგრამ საუბედუროთ ჩვენში არ გამოჩენილა ჯერ პიროვნება, რომელსაც ამ სფეროში მიეხწიოს ნამდვილ ნაციონალურ შემოქმედების მწვერვალამდე. დღეს ჩემ მიერ მოსმენილი „მრავალ-ჟამიერი“ ამ მხრივ ფიად მრავალ მნიშვნელოვანია და მე შემიძლია მოგილოცოთ თქვენ აღმოჩენა უძლიერესი ქართველი მუსიკოსისა.

ყველა განცვიფრებული დარჩა, ვინაიდან ჩემი სიმღერა მათ არა ერთხელ ჰქონდათ გაგონილი და თუ ის ასეთი ღირსებისა იყო ეჭვიც არავის ებადებოდა.

დღეს ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული სოლომონ ზურგიელიძე და ამ გარემოებამ მეც განუსაზღვრელს მწუხარებაში ჩამაგდო.

საუკუნოთ იქნება შენი სახელი ჩვენს გულში დიდებულო ქართველო.

სცენის მოყვარე ლევან სიმონის ძე გორელი.
(ფირფიტაშვილი).

III

მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომელიც საფუძვლად დაედო ჩემს სოლომონთან მეგობრობას გახლდათ უბრალო **ჭორი**, ვილაც მავნე კორესპონდენტისაგან მის შესახებ გავრცელებული. ჭორი შეეხებოდა **მექრთამეობას** და კორესპონდენტს ინიციალებში **„ს. ზ. ზ.“** თურმე ჩვენი სასიქადულო მოღვაწე ჰყავდა გამოყვანილი.

მე ის-ის იყო ჩავეშვი სარედაქციო სავარძელში, რომ კარები გაიღო და არჭილის სახის მო-

ხუცი შემოვიდა. გამეცინა. მე სავარძლიდან წამოვიწიე და ყრუ ხმა გამოვეცი, ვინაიდან ჩემს გაოგნებას სამზღვარი არ უჩნდა.

— როგორ, თქვენს შესახებ ბრალდება?!

— დიახ, მე მასახელებთ მექრთამეთ.

— ეს შეუძლებელია!

— ჭეშმარიტათ შეუძლებელია, რადგან მე კარგა ხანია საფუძვლიანათ შევისწავლე თქვენი ჟურნალის სული, მისი მიმართულება, მისი იდეალები. თქვენი ნაწერები ეს ერთგვარი „დესერტია“ ქართული ჟურნალ-გაზეთების მკითხველისათვის, ვინაიდან მისი კითხვის დროს აზრი მოძრაობს, ზნეობა მაღლდება, გონება იზრდება და ინტელექტუალური მოთხოვნილება ქართველი მკითხველისა ყოველმხრივ კმაყოფილდება. თქვენი ენა, სტილი თქვენ მიერ აზრთა გამოთქმისა, პირდაპირ შედევრია. ქართული ენის განვითარება ამას იქით ველარ წავა და თუ მან ეს პოზიცია შეინარჩუნა, მისი მომავალი ამითაც უზრუნველყოფილია.

ამ მუსაიფს ყურს უგდებდა აწ განსვენებული ბეკო კეხიანიძე, რომელიც ყველაფერში დაეთანხმა განსვენებულ სოლომონს და თავის მხრივ დასძინა:

— ჩვენში თუ შეიძლება ხელში აღება, ისევ ამ ჟურნალისა და ეს იმიტომ, რომ მას ასეთი პაატიოსანი და მცოდნე ხელი ჰმართავს. მოისპობა ხელი,—ჩაჰქრება კანდელი!

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად სიმართლესა ბრძანებთ ბატონო. მე წელან მხოლოდ ჟურნალზე იმიტომ ვილაპარაკე, რომ თავისთავად ცხადია: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წამოსდინდების“. განა შეიძლება ხელმძღვანელი უვარგისი იყოს და ჟურნალი კი ასეთი შეუდარებელი?! ეს თითქმის შეუძლებელია! ესეც არ იყოს ბატონი სოსოს პიროვნება, თუმცა მე მას აი ამ წამში გავეცანი, ყველასთვის აშკარა, ულათუოა. დასძინა სოლომონმა.

მე რასაკვირველია იმავ ნომერში გავიცხე კორესპონდენტი, რომელმაც ასე უდიერათ მოიხსენია ჩვენი ერის დიდება.

მას შემდეგ ჩემსა და სოლომონს შორის დამყარდა მჭიდრო მეგობრული კავშირი, რომელიც ასე უდროოთ და ვერაგულათ შესწყვიტა გულქვა სიკვდილის ცელმა.

კმარა ბატონებო, კმარა ამდენი მსხვერპლი!

რედაქტორი ჟურნალ „ტრ. ბრ.“

სოსო დიმ. მარიათაშვილი.

რედაქციისაგან. ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს მკითხველთა საყურადღებოთ მოვიყვანოთ ათასი სხვა ასეთი გრძნობით აღსავსე მოგონების ბარათები. თუ დამკრძალავმა კომისიამ სისრულეში მოიყვანა თავისი დაპირება **ცალკე** კრებულის გამოცემის შესახებ ჩვენ რა თქმა უნდა სიამოვნებით დაუთმობთ მას ამ უხვსა და ძვირფას მასალას.

„ეშმაკის მათრახის“ **რედაქცია.**

ეროვნული უბედურება და ქართული პრესა.

განსვენებული სოლომონ ზურგიელიძის ცხედრის წინაშე ყველანი ღრმა მწუხარებით აღსავსენი დგანან, პირადი პირვარამი და საკუთარი ინტერესები თითქოს მოისპო და საერთო ობლობის გრძნობამ მოსისხლე მტრებიც კი შეარიგა. ჩვენი გაზეთებიც სისწორით გამოჰხატავენ ამ საერთო სულიერ განწყობილებას; საოცარი გულწრფელობითა და უაღრესი გლოვის გრძნობით ამეტყველდა ჩვენი პრესა ამ განსაცდელისა და მწუხარების ჟამს.

გაზ. „საქართველო“ სწერს:

„ადამიანთა სოციალ ცხოვრების გრაგნილობაში ფატალ კაზუსების გაჟღენაზე მოდერნ ეპოქასა შინა იგივე ითქმის, რაც ინდივიდუალ ორგანიზმის ეგოლიუციურ სვლის ბრძოლობათი ძერწვის შესახებ. აქაც და იქაც ფატალ სიურპრიზებს სანუგეარი ობიექტივი თინადი თან დაჰყვების, და ეს თინადი მით უფრო რეპრესიეთა, რაც უფრო საოუთია სოციალი თუ ინდივიდუალი ორგანიზმი.

მრავალ კატასტროფთა სახმოდთა შიგან გამოწროობილს, გარნა მაინც უძლურსა ერსა ჩვენსა ძნიადი და ადუმენელი განცდა თავს დაატუდა: ჯაგარი ჩვენი ერისა, გვამი, ადწურვილი უნიფერსალ მეცნიერებითა, გადამწერელი კარდინალ კითხვებისა, ერთად ერთი, რომელსაც ჩვენი პოლიტიკურისა და ნაციონალ ცხოვრების ნიადაგ ხელართულობის ძალუძდა თავის კართმეგა და კორდიასის კვანძის ერთის დაკვრით გაკვეთა, ადესრულა...

ოდეს სიმწვავე გაალმასებულ გრძრობათა მოზდვაებულობასა, რაც პრიმიტივ ადამიანთა მძაფრებულობამდე ადწევს, ოდნავ დასცხრეს, მაშინ მხოლოდ შეაგრძნოს ქართველმა ერმა ერთობილმა ამ დანაკლისის დიფეფისილობა!..

გაზეთი ასე ათავებს თავის გრძნობიერ წერილს:

მაინც და მაინც, pendant ზემორე თქმულთან, უნდა აღვიარეთ, რომ ვიტალი ბრეტესსი ჩვენის ბარალოქსალობითა და ღვარძნილობით აღსავსე მანკიერი უოფისა ხანგრძლივი არ არის და მოვალს ყანმი და აწვე არს, ოდეს სოციალ ცხოვრებაში ბრივატ ინტერესების შეხრილობა ზოგად მოდვაწეთა მორალ კრისტალობას დაუთმობს ადგილს ჩვენდა საბედნიერეთ. მაშინ ასრულდების ჯერ-ჯერობით დიტონი დატრულობა აწ განსვენებულის ხოლომონისა...

Requiescat in pace!

* *
*

„თეატრი და ცხოვრება“, ეს ნამდვილი ისაია წინასწარმეტყველი ჩვენი ცხოვრებისა, საოცარის გრძნობამორევით ჰგოდებს სოლომონის სიკვდილს:

„ვაი მე... ვაი ჩვენ... ვაი ჩვენს ერს!.. სოლომონი არ იყო არც მსახიობქალი, არც მსახიობვაჟი, არც მკალობელმსახიობკაცი, მაგრამ მის ბოპულიარობას ვერ შეედრება ვერც ერთ ჩამოთვლილ მოდვაწეთა ბოპულიარობა...

ბერსისხლიანმა სიგვდილმა გამოგვტაცა იგი თვისი სამარისებური ხვლებით და იმ ადგილას, სადაც სოლომონი ამოგვგლეჯა, განისხლიანებული ხორცის ნაფლეთებია!..

სიკვდილი!..

მხოლოდ ჩვენისთანა უბადრუკ ერს თუ დაიბრიუვებს ეგრერიგათ ისეთი უსეში, ეოვლად უაზრო, ვერაკი, ფლიდი და გათხსირებული ძალა, როგორც სიკვდილია...

მაგრამ გმარა უიდაჯობა!

დრეა ავლაგმოთ ეს თავალებული და ალვირ-წასსნილი მტერი ჩვენი ერეგნული ხელოვნებისა!

ქართველებო!.. ის ერთია და ჩვენ კი ორ-მიდინზე მეტი!..

ჩვენი მეზობლები, რუსები, ამბობენ: „Куй желѣзо, пригодится воды напиться“-ო.

მიგბაძოთ ამ ბრძენულ ანდაზას...სასტიკი ბრძოლა სიკვდილს, ბრძოლა მამაცური!

საკირეა, დაუეოვნებლივ დავაარსოთ კომისიები, რათა ორგანიზაციულათ მოწეობილ ძალების შემწეობით ალვგავოთ ბერისაკან ჩვენი ძვირფასი მამულისა გაუმაძღარი სიკვდილი და შევინარჩუნოთ ის მოდვაწეები მაინც, რომელთაც ჯერ არ შეჭხებია მისი მსახვრალი ხელი.

ამ მიზნის მიდწევა არც ისე ძნელია, თუ გავითვალისწინებთ განთლებულ ქვეენების ვითარებას: რეგორც გაგვიგონია, შვეიცარიის შეერთებულ შტატებში, ე. ი. ჩრდილო შვეიცარიაში, დიდი ხანია სიკვდილის ხსენებაც აღარ არის.

აი მაგალითი ჩვენთვის!..

დღეს კი ვიგლოვოთ ჩვენი სულიერი და ზნეობრი მამა, უბადლო სოლომონი!..

ვაი მე .. ვაი ჩვენ... ვაი ჩვენს ერს!.“

* *
*

„ვაზეთ „სახალხო ფურცელს“ და ყოველკვირეულ „ზვირთს“ დაუვიწყარი მამულიშვილის შესახებ საერთო მოწინავე წერილი მოლთავსებიათ და სხვათა შორის ამბობენ:

„დღეს უგულასათვის ცხადია, რომ ერეგნულმა იდეამ, იმ სახით, რა სახითაც ეს იდეა ჩვენის რეფაქციების კოლეგიებს ესმის, საბოლოოთ გაიმარჯვა და, ამის დაგვარათ, რეგორც მოსალოდნელი იყო, ბოლო მოეღო ქართველის დემოკრატიის გამრეგულის ე. წ. ინტერნაციონალურის, ანუ ს.-დემოკრატიულის, ე. ი. მარქსისტულის, თუ რეგორც ჩვენში უწოდებენ, „დასურის“ უსუსურის, გულის ამმღვრევის, გრძნობის შეურაცხმეოფის ტალანქის აგიტაციის და ბრეპაგანდის უწინდელის უტეუარის გაგრძელების ძალას. ამის დამამტკიცებელი საბუთი თვალსაჩინო გახდება ჩვენის დაუვიწყარის თანამოაზრის, ნეტარხსენებულის სოლომონის ზურაბის ძის ზურგიელიძის დაკრძალვაზე, რადესაც ჩვენის მიმართულების მიმდევარი ქართველი მუშები დარაზმული გამოვლენ ძვირფასის ცხედრის ბატიესცემათ და უკანუნო თომებსაც კი დაარწმუნებენ, რომ „ჩვენი სახელი—ლეგიონია!“

* *
*

გაცეთი „Закавк. Рѣчь-ი სწერს:

„Нашъ новая національная горе.

«Бѣдному чѣловеку каменъ на подіомѣ дагналъ—гаваритъ Шота Руставели—и это, если толко вникнуться глазами трѣзваго «грузина» въ предметъ, выйдѣтъ, что какъ разъ надъ нами вырезано

Мы, канечно, ничего не имѣемъ противъ нашихъ соседей, армянъ, ихъ канѣчно притесняютъ въ Турціи и, немного даже рѣжутъ (мы это не отрицаемъ), но какое сравненіе съ нашимъ національнымъ утратой, которое постиглось Соломона Зургіелидзе...

Міръ пруху твоего, дорогой преподаватель нашъ!..

ნილაბი სოლომონისა
გადაღებული ი. ნიკოლაძის მიერ.

ბ. თაგუნას სიტყვა*)

ს. ზურგიელიძის ცხედრის წინაშე წარმოთქმული.

სულმნათო სოლომონ! შენი სპეტაკი ცხედარი
ოთვალავ ხალხის წინაშე
დუღს და გადმოდის. შენისთანა მამულიშვილების
დაკარგვა რასაკვირველია,
ჩაჰყლაპავს, მაგრამ
სამარის ლოდს
ვერ მოინელებს. აწ
დადუმებული გული შენი
სასახელოთ და მტრის
თვალის დასაყენებლათ
აქვე ფეხ ქვეშ უნდა გაითელოს!
და დაობლებულ ერს
ყვავ-ყო-
რანი
გაუნათებს მომავალს
მაგრათ!
თუმცა ჩვენს გულში სამარადისოთ
ნაზათ
შეფურთხებს ნამდვილი
მამულიშვილი.
ნეტარ არს
რომელიც
მიაქანებს წინ!
გუშინ
უბადრუკი
საუკუნო ხსენება შენი!..

*) როგორც მკითხველი ჰხედავს პატივცემულ თაგუნას სიტყვა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო სრულად ვერ იბეჭდება. მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ დაკვირვებული მკითხველი, რაც იბეჭდება იმის მიხედვითაც ადვილად აღადგენს მბევრმეტყველურ ხელოვნების ამ კლასიკურ ნიმუშს, რომელმაც დაკრძალვის დამსწრეთა გულმოსაკლავი ქვითინი და დაუსრულებელი ცრემლთა დენა გამოიწვია.
რედაქცია.

სამგლოვიარო წერილები და დეპეშები.

ოზურგეთი. (დეპეშა) კიდევ ახალი უბედურება. ჰოი სამშობლოვ როდემდივ უნდა იტანჯო. აღარ გვყავს ძვირფასი სოლომონი—ჩვენი კვირტი. ეს სამწუხარო ამბავი იმ დროს გავიგეთ, როცა ქალაქის თეატრში „შეშლილები“ უნდა წარმოედგინათ. წარმოდგენა გადაიდო ორმოცი დღით. გადავიხადეთ პანაშვიდი. გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა, ვაგროვებთ ფონდისთვის ფულს. დასაფლავებაზე იგზავნება წარმომადგენელი. მცხოვრებთა მწუხარება გამოუთქმელია.
მონდობილობით ბაზრის ზედამხედველი
კონსტ. ფერქომაძე.

—

ონი. (დეპეშა) ერთი თვით ბედნიერი მაინც ვიქნებოდით დეპეშა რომ არ მოეგონებინათ. ერთ თვეს კიდევ ვერ გავიგებდით, რომ აღარ გვყავს უბადლო საზოგადო მოღვაწე კვირტი. მთელი ქალაქის მცხოვებნი სტირიან, ჩვენთან ერთად მოსთქვამს რიონი. ქართველების მწუხარებას იზიარებს ადგილობრივი ებრაელები, მათმა რაბინმა და ჩვენმა ხუცესმა პანაშვიდი გადაიხადეს. ვთხოვთ დამკრ-

ძალავ კომიტეტს დასაფლავება მეორმოცე დღეს დანიშნოს, რათა შევძლოთ დეპუტატებმა ყოველ კუთხიდან თავის მოყრა და ღირსეული პატივისცემა.

მონდობილობით

ქ. ჯაფარიძე და ბ. ბერუჩავა.

—

აბაშა. სოლომონ კვირტიას გარდაცვალებამ დიდათ დაალონა მთელი სამეგრელოს ერი. ბედმა არ გვაკმარა მოუსავლობა და წყალდიდობა. ზედიზედ გვაკლებს საუკეთესო მამულიშვილებს, ბედაურები გაგვიწყდენ. ვაგზავნით დელეგატებს. შეუერთეთ ჩვენი მწუხარება მთელ საქართველოს მწუხარებას.

უტუ გვასალია.

—

ქუთაისი. არ გვჯერა, ნუ თუ მართლა აღარ გვყავს მანათებელი ლამპარი. ნუ თუ გამოილია ზეთი და ჩაჰქრა პატრუქი, ნ-უ თუ დაობლდა მთელი საქართველო. ვერ გვიპოვია სიტყვა გრძნობის გამომხატველი, ცრემლი შეგვაშრა, ბოლმა გვახრჩობს. წარმოდგენა გადაიდო, თვითმართველობის სხდომა შეწყდა, შავი ქვის საბჭოს კრება დაიხურა, ქალთა საზოგადოება დაიშალა, ქალებმა მაღაზიებს მიაშურეს და სამგლოვიარო კაბებს ყიდულობენ. შესდგა შეერთებული კრება ყველა კულტურულ დაწესებულებისა, გადაწყდა არჩეულ იქმნას მაქაური დამკრძალავი კომიტეტის აქაური განყოფილება. დეპუტატებს ყველა საზოგადოება გზავნის. 225 ბილეთი შეგვინახეთ. ფონდის შემგროვებელი კომისია დავაარსეთ. ვითხოვოთ დასაფლავების ცერემონიალს ჩვენი წარმომადგენლების ჩამოსვლამდი ნუ შეიმუშავებთ. გაზეთები: სამშობლო, იმერეთი, მეგობარი სამგლოვიარო არშიებით გამოდის.

კიტა.

—

ბათუმი. საღამო ჟამს, როცა დღიურ სიცხადით გულ დაჩაგრულნი „ბრეხალკის“ მუდმივი წევრნი, გასართობათ და სალაღობოთ შევიყარენით სარძევე „ინტერნაციონალის“ წინ და უნდა მოგვესმინა მორიგე ბესარიონისაგან მორიგი ჰორიაი ამ დროს და ამ ადგილას დეპეშამ ჩაგვიშხამა ყველაფერი—გვაცნობა დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ამბავი—სოლომონის გარდაცვალება. ყველას თავზარი დაგვცა და გლოვის ნიშნად ოთხოთხად დაპარტნიორებულნი ცალ-ცალკე ბინაზე წავედით. მრავალ-ფეროვანი იყო სოლომონის მოღვაწეობა და ღვაწლი. ვატყობინებთ ამ სამწუხარო ამბავს მოძმე მაჰმადიანებს და დელეგატს იმათაც ვაგზავნინებთ. გლოვობს შავი ზღვის პირი, და ქართველების გულთან ერთად შფოთავს, ბორგავს და ღელავს შავი ზღვა.

სოსო.

—

ფოთი. ნათქვამია: „ღმერთმა ერთი ვით წაწყმინდოს თუ მეორე არ აცხონოსო“. მართალია აღარა გვყავს დიდებული მოღვაწე სოლომონ—კვირტი, მაგრამ სამაგიეროთ მისმა სიკვდილმა აღმოაჩინა ახალი ოქროპირირი, იშვიათი მჭერმეტყველი, ფრიად განსწავლული მოძღვარი კლიმენტო. გვაცნობა რა სოლომონის გარდაცვალება სობოროს დიდი ზარის სამგლოვიარო რეკამ, მაშინვე მაშინვე ეკლესიაში მოვიყარეთ თავი. მცირე პანაშვიდის შემდეგ დიდი სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა კლიმენტომ, მისმა სიტყვამ დაგვარწმუნა, რომ არ მოკვდება ის ერი, ვისაც საზოგადო მოღვაწის ისეთი დამფასებელი რჩება, როგორც ჩვენი დეკანოზია. შენ კი ძვირფასო სოლომონ განისვენე მშვიდათ, შენ გაფასებს და გტირის ერი ქართველი. დეპუტაციაში პარასკევსაც იქნება—მეორე სიტყვა მისთვის შეინახეთ.

ეროვნული მუშა **ს. ჩიჩუა.**

დ ა კ რ ძ ა ლ ვ ა

სოლომონ რ. ზურგიელიძისა.

ის გრანდიოზული სანახაობა, რომლის მოწამე შეიქნა ჩვენი ჰაღარა დედა-ქალაქი, თფილისი, 18 ოქტომბერს, განცვიფრებაში მოიყვანდა თვით განუცვიფრებელს ადამიანთა შორის. ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მთელი მიდამო, ვიდრე სახაზინო თეატრამდე ერთის მხრით და ყოფილ ტილიპუჰურამდე მეორე მხრით, სოსიკო მერკვილაძის „ცოდნამდე“ ქვევით და სამოსამართლო პალატამდე ზევით, სულ ხალხით იყო გაჭედილი. დეპუტაციებს სხვა და სხვა ეროვნებისა და ქალაქებისას თვით ეკლესიის გალავანში უშვებდენ.

წესის აგების შემდეგ ყოვლად სამღვდელო იაკინთემ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და ვრცლათ შეეხო განსვენებულის ღრმა ცოდნას საეკლესიო გალობის სფეროში. აქვე წარმოსთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა პ. ხ. ხატისოვმა ქალაქი თფილისისა და გაიოზ ჩიქოვანმა ქ. ქუთაისის სახელით. თავად აზნაურობის მხრივ ილაპარაკა მიხეილ ზურაბიშვილმა, რომელსაც ხალხი ტაშის

ცემით მიეგება. ილაპარაკეს წერა-კითხვის, ეტნოგრაფიულის, კულტურის მოყვარულთა, სამეურნეო და სიტყვა კაზმულ საზოგადოებათა წარმომადგენლებმა. სხვა და სხვა რედაქციებისა და დაწესებულებათა დეპუტატებმა. ილაპარაკა და დიდი მლელვარება გამოიწვია სოფ. სოკოთუბნელმა გლეხმა ნიკოია ჯლარკავამ.

სწორედ საღამოს ხუთ საათზე დაიძრა პროცესიის ზღვა, რომელსაც წინ მიუძღოდა სამი ხორო მგალობელთა: წითელ ქულაჯებიანი, შავ-ჩოხიანი კავსაძისა და ქალთა გუნდი. „წმინდაო ღმერთოს“ გუგუნი გლოვის ჰანგით ავსებდა ხალხით გაჭედილ ქუჩებს და როგორც მოვარდნილი ლანქერი ჩქერით გადადიოდა უბნიდან უბანში.

მგალობელთა გუნდს მოსდევდა ქართველი სამღვდელოება ყოვლად-სამღვდელო იაკინთეს მეთაურობით, შემდეგ სამგლოვიარო ეტლი და მას უკან გულდათუთქული ჭირისუფლები ურიცხვი ხალხის თანხლებით.

პროცესია ნელა და მწყობრათ გაემართა გოლოვინის პროსპექტით და როცა კავსაძის ხორო „ნოეს სასტუმროს“ წინ გუგუნებდა, პროცესიის უკანამავალნი „ძმურ ნუგეშს“ არ გაჰშორებოდენ. სანახაობა, როგორც მოგახსენეთ, ქართველთათვისაც უჩვეულო იყო და ახლა წარმოიდგინეთ თქვენ განცვიფრება ოსმალეთიდან შემოხიზნულ „ბეჟენცეებისა“, რომელნიც გაშეშებული შესცქეროდენ ამ ზღვა ხალხს და ამბობდენ:

— უთუოდ ამათი ყეენი მომკვდარა, რომ მთელი ქვეყანა მისდევს უკანაო.

დიდუბის ეკლესიის გალავანს უკვე რვა საათზე მივადექით. აქ ილაპარაკა მუსულმანთა წარმომადგენელმა მუსტაფა-აჯი-მამედ-ახუნდ-ზადემ. მიუხედავათ იმისა, რომ ორატორი უცნობ ენაზე ლაპარაკობდა, სიტყვამ თავის მგრძნობიარეობით უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

ილაპარაკეს ოსების, ბერძნების, ებრაელებისა და აისორების წარმომადგენლებმაც. ხალხი ყველას აღტაცებით ეგებებოდა. ის იყო ორატორთა სია გათავდა, კუბო სამარეში ჩაუშვეს და ძვირფასი გვამი შავმა მიწამ დაჭფარა, რომ სასაფლაოს აღმოსავლეთ მხრიდან საშიშარი ხმა-მაღალი ტირილი მოისმა და ვიღაც ქულაჯიანი კაცი გაშმაგებით მიიჭრა სამარესთან. გულის შემზარავი სცენა მოხდა. ჭაბუკი ვერას გზით ვერ დაამშვიდეს და როცა სული მოიბრუნა საუცხოვო ლექსი ჩასძახა ჩვენს მგოსანს „ამიერ კავკასიის რკინის გზის“ სახელით. მისი ვინაობა ჩემთვის გამოურკვეველი დარჩა.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციის მხრით გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა დამსახურებულმა იუმორისტმა „თაგუნამ“.

საღამოს ცხრა საათზე მადლიერი საზოგადოება დაიშალა და გაემართა „ახალის“ თუ „ხარფუხის“ კლუბისაკენ უზომო მწუხარების გასაქარვებლათ.

ადგილის სიმცირე ნებას არ მაძლევს ვრცლათ შევეხოთ ამ საარაკო ჰატივისცემას, ვიტყვით მხოლოდ, რომ მრავალთაგან გაიგონებდით:

— რომ ვიცოდე ასეთის დიდებით დამასაფლავებენ ეხლავ თავს მოვიკლავდიო.

— იცი ლუკა, ჩვენ მეზობელ ერებს გადაეწყვეტიათ როცა მოუკვდებათ ვინმე უთუოდ ქართველებს მივანდოთ დამარხვაო.

ასეა თუ ისე, მე მგონია სოლომონ ზურგიელიძე ეს უკანასკნელი ქართველია, რომელსაც ასეთი მეფური (მეტი რომ არა ვსთქვათ) დასაფლავება ხვდა წილათ.

ამბობენ სოლომონის საფლავზე დაიბადა ახალი ჯგუფი ქართველებისა, რომელიც დაიჭერს შემაერთებელ პოზიციას „საქართველოელთა“ და „სახალხოელთა“ შორისო. არ ვიცით რამდენათ მართალია ეს ცნობა, მაგრამ თუ ეს ასეა ამ სასიამოვნო ამბავს შეუძლია მცირედ მაინც შეამსუბუქოს ჩვენი უზომო ტანჯვა სოლომონის დაკარგვით გამოწვეული.

მოზარე.

მოსწრებული სიტყვები და აფორიზმები

განსვენებული ს. ზურგიელიძისა.

* *
*

„...ჩვენი ქვეყნის ბედი ერთ რომელსამე კაცზე როდი ჰკიდია. თუ ერის უმრავლესობა მომავლის გზას გაიკაფავს, უმცირესობაც მას დაედევნება“...

* *
*

„იცოდე, შვილო, სიცოცხლე
სიკვდილს არ მუდამ სჯობია:
მოძმისთვის თავის გაწირვა
მრავალგზის შენამკობია“.

* *
*

ერთხელ განსვენებულსა ჰკითხეს:

— სოლომონ, ქართველათ რომ არ დაბადებულიყავ რას იზამდიო?

— მაშინვე თავს მოვიკლავდიო, მოსწრებულათ უპასუხა ენამჭრელმა მოღვაწემ.

* * *

„სწავლა ივივეა ყრმისათვის, რაც ზეთი ჭრაქისათვის: ჩაუსხამ აინთება, არ ჩაუსხამ და—ჩაჰქრება“.

* * *

ერთ წვეულებაზე სოლომონს თამადა ჩააცივდა: გინდა თუ არა, ყანწით ღვინო დალიეო.—
—ვერ დავლევ, არ შემიძლიანო. უთხრა სოლომონმა. თამამადამ მაინც გაუჯავნა ყანწით ღვინო,
—სანამ არ დალევ, არ მოგეშვებიო. მაშინ სოლომონმა ექსპრომტათ შემდეგი ლექსი წარმოსთქვა:

— ყანწით ვერ დავლევ მე მაგ ღვინოსა,
თამადა ღმერთმა შეარცხვინოსა...
თამადამ ენაზე იკბინა და ხმა გაჰკმინდა.

* * *

1905 წ., ცნობილი მანიფესტი რომ გამოცხადდა, განსვენებული სოლომონ ზურგიელიძე შემთხვევით თბილისში იყო. ყველას აღფრთოვანება ეტყობოდა სახეზე, სიხარულს ვერავინ მალავდა. ჩვენი სასიქადულო მწერალი კი ჩვეულებრივ დინჯათ იყო და მის მეტყველსა და ღრმათ ჩასმულ თვალებს ჩაფიქრება და თითქოს დარდიც ემჩნეოდა.—რა მიზეზია, ბატონო სოლომონ, რომ საერთო აღტაცების გაზიარების მაგიერ, მოგიწყენიათო?—ჰკითხა სოლომონს ბ. არჩილ ჯაჯანაშვილმა:
—ნუ თუ არა გწამთ ბრწყინვალე ხანის დაწყებაო... სოლომონი მიაჩერდა არჩილს თავისი ჭკვიანი თვალებით, დიდხანს უცქირა უსიტყვოთ და ბოლოს ნელის ხმით, წინასწარმეტყველებრივათ წარმოსთქვა:

— ვნახოთ, ძვირფასო არჩილ, ვნახოთ! ღმერთმა ჰქნას, რომ ეგ სიხარული ათი წლის შემდეგაც ეგრე შეგრჩენოდეთო.

მისანი მოლვაწის წინასწარმეტყველება, ჩვენდა საუბედუროთ, აღსრულდა და აი, დღეს, სწორეთ ათი წლის შემდეგ, სიკვდილის ბრჭყალებმა გამოგვგლიჯა ხელიდან თვით ავტორი ამ წინასწარმეტყველებისა*).

*) იმედია, ბ. არჩილ ჯაჯანაშვილი ამ შემთხვევის სინამდვილეს დაადასტურებს.

ა ნ გ ა რ ი შ ი
სოლომონ ზურაბის ძე ზურგიელიძის დაკრძალვისა.

	შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი.	მან.	კ		გ ა ს ა ვ ა ლ ი.	მან.	კ.
1	ქ. წ. კ. გ. ს. მთავარი გამგეობისაგან	300		1	გადმოსვენების ხარჯები	511	13
2	შავი ქვის საბჭოსაგან	250	50	2	სასაფლაოს ადგილი პანთეონში	600	—
3	—თფ. თავად-აზნაურთა საკრებულოსაგან	90	—	3	ჩოხიან ხოროს	60	—
4	ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოს.	160	—	4	ქულაჯიან ხოროს	25	—
5	ბაქოს ქართველთაგან	414	70	5	ქალების ხოროს	7	—
6	ბათომის ქართველთაგან	160	55	6	მღვდელ-მოქმედთ	75	—
7	ფოთელთაგან	75	70	7	ბალდახინს და კუბოს	204	—
8	სოხუმიდან (ნ. თავდგირიძისაგან)	25	—	8	საფლავის გაჭრა	50	—
9	მოსკოვის ქართ. სათვისტომოდან	5	25	9	ყვავილები და სანთლები	100	—
10	ოზურგეთელ პატივისმცემელთაგან	10	—	10	საკანცელარიო ხარჯი	75	—
11	სამტრ. ქ. შ. წ. გ. ს. გამგეობისაგან	85	20	11	შავები ნათესავებისათვის	398	—
12	ბონის ინტელიგენციისაგან	75	25	12	ეტლები საპატიო მოხუცთათვის	60	—
13	ზუგდიდელთაგან	17	08	13	ლაღიძის წყალი პროცესიის დროს	45	50
14	თელავის ინტელიგენტთაგან	25	—	14	განცხადების ფასი რედაქციებს.	65	15
15	ტრამვაის მომუშავეთაგან	22	15	15	დეპეშების დასაგზავნი	36	07
16	ამხანაგობის სტამბის მუშათაგან	8	—	16	მათხოვრებსა და მონაზვნებს	6	28
17	ჭიათურის მუშათაგან	35	55	17	ბროშურების დასაბეჭდი	28	64
18	გელათის ბერებისაგან	1	50	18	სურათების დაბეჭდვა ლია ბარათზე	40	16
19	ქართული კლუბისაგან	400	—	19	სინემატოგრაფზე გადაღება პროცესიისა.	75	—
20	ქართულ რედაქციებისაგან	75	—	20	დროშების მატარებელთ	24	—
21	გვირგვინის მაგიერ	425	—	21	პროცესიის ხელმძღვან. ნიშნ. შესაძენათ.	26	45
22	კერძო შემოწირულებანი	625		22	წვრილმანი ხარჯები.	800	—
	სულ	3286	43		სულ.	3112	38

დარჩა წმინდა შემოსავალი 174 მან. 5 კაპ.

ეს ფული მოხმარდება განსვენებულის ხელმოკლე ოჯახს და სალიტერატურო ფონდს.

ნებადართ. სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტ.-გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე.